შპს "ბასსიანი"

ფინანსური ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

სარჩევი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და დამტკიცების შესახებ 3

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....4
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 5
კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება 6
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება.....7

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები:
1. ზოგადი ინფორმაცია და ძირითადი საქმიანობა.....8
2. მომზადების საფუძველი.....8
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა.....9
4. ფულადი სახსრები და ექვივალენტები.....12
5. სავაჭრო მოთხოვნები.....12
6. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები.....12
7. ძირითადი საშუალებები..... 13
8. არამატერიალური აქტივები.....13
9. კრედიტორული დავალიანება.....14
10.სესხები და პროცენტები.....14
11. შემოსავლები.....14
12. შრომის ანაზღაურების ხარჯი.....14
13. საოპერაციო ხარჯები.....15
13. საანგარიშო პერიოდის შემდეგ მომხდარი ცვლილებები.....15

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „ბასსიანის" ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და მფლობელთა კაპიტალში ცვლილებებს 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის, გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (მსს ფასს).
ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და შედეგებზე;
- კომპანიის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე კომპანიის მუშაობის უნარის შეფასებაზე.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- კომპანიაში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და მსს ფასს-ის მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების თავიდან აცილებასა და აღმოჩენაზე.

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2019 წლის 17 სექტემბერს.

დირექტორი	მთავარი ბუღალტერი
აკაკი ხურციძე	ლია დიასამიძე
17 სექტემბერი	
საქართველო, თბილისი	

შპს "ბასსიანი"

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

თანხა მოცემულია ლარში

	შენიშვნა	31.12.2018	01.01.2018
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტი	4	23,234	224,572
სავაჭრო მოთხოვნები	5	115,302	211,735
გადახდილი ავანსები		52,154	52,572
საგადასახადო აქტივი		0	0
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	6	123,374	94,896
ძირითადი საშუალებები	7	645,461	682,767
არამატერიალური აქტივები	8	2,809	2,843
სულ აქტივები		962,334	1,269,385
ვალდებულებები			
კრედიტორული დავალიანება	9	224,144	290,830
საგადასახადო ვალდებულებები		30,919	59,513
გადასახდელი ხელფასები		0	0
მიღებული სესხები	10	202,251	669,826
სხვა ვალდებულება	10	198,657	157,806
სულ ვალდებულებები		655,971	1,177,975
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		218,000	0
გაუნაწილებელი მოგება/(ზარალი)		88,363	91,410
სულ კაპიტალი		306,363	91,410
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		962,334	1,269,385

დირექტორი
აკაკი ხურციძე

მთავარი ბუღალტერი
ლია დიასამიძე

შენიშვნები გვერდებზე 8-15 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

შპს "ბასსიანი"

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

თანხა მოცემულია ლარში

	შენიშვნა	2018
შემოსავლები საქონლის მიწოდებიდან	11	991,216
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(440,787)
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	11	1,642,144
მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯი		(891,248)
სხვა შემოსავლები	11	40 460
შრომის ანაზღაურების ხარჯი	12	(405,509)
საიჯარო მომსახურების ხარჯი		(242,241)
ცვეთის ხარჯი		(172,307)
საპროცენტო ხარჯი		(40,851)
ვალუტის გადაფასების მოგება/ზარალი		(16,810)
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება/ზარალი		(66,559)
სხვა საოპერაციო ხარჯი	13	(398,888)
მოგება დაბეგვრამდე		**(1,380)**
მოგების გადასახადი		1667
პერიოდის მოგება/ზარალი		(3,047)
სხვა სრული შემოსავალი		-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		**(3,047)**

დირექტორი
აკაკი ხურციძე

მთავარი ბუღალტერი
ლია დიასამიძე

შენიშვნები გვერდებზე 8-15 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

შპს "ბასსიანი"

კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

თანხა მოცემულია ლარში

	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული მოგება/ზარალი	საშუალებების გადაფასების რეზერვი	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრისათვის	-	91,410	-	91,410
წმინდა მოგება/ზარალი	-	(3,047)	-	(3,047)
დივიდენდის გატანა	-	-	-	-
წლის სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-
საწესდებო კაპიტალის ზრდა	218,000	-	-	218,000
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრისათვის	**218,000**	**88,363**	-	**306,363**

დირექტორი

აკაკი ხურციძე

მთავარი ბუღალტერი

ლია დიასამიძე

შენიშვნები გვერდებზე 8-15 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

შპს "ბასსიანი"
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

თანხა მოცემულია ლარში

	2018
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	
კლიენტებიდან მიღებული ფულადი სახსრები	3,129,694
მომწოდებლებზე გადახდილი ფულადი სახსრები	(2,135,557)
გადახდილი შრომის ანაზღაურება	(312,030)
გადახდილი საბიუჯეტო გადასახადები	(475,108)
სხვა შემოსავლები	31,389
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	**238,388**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	
ძირითადი საშუალებების შეძენა	(106,782)
არამატერიალური აქტივების შეძენა	-
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(106,782)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	
მიღებული სესხი	59,973
სესხის დაფარვა	(594,107)
პარტნიორთა შენატანები	218,000
გაცემული დივიდენდი	-
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	(316,134)
ფულადი ნაკადების წმინდა ცვლილება	**(184,528)**
სავალუტო კურსის ცვლილების ეფექტი	(16,810)
ფულის და ფულის ეკვივალენტების საწყისი ნაშთი	224,572
ფულის და ფულის ეკვივალენტების საბოლოო ნაშთი	**23,234**

დირექტორი
აკაკი ხურციძე

მთავარი ბუღალტერი
ლია დიასამიძე

შენიშვნები გვერდებზე 8-15 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

შპს "ბასსიანი"
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

1. *ზოგადი ინფორმაცია და ძირითადი საქმიანობა*

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "ბასსიანი" შემდგომში (კომპანია) რეგისტრირებულია 2016 წლის 28 ივნისს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული საგენტოს მიერ, საიდენტიფიკაციო ნომრით 405155889. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საკლუბო მომსახურების გაწევა. იურიდიული მისამართია ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ი. მოსაშვილის ქ. #7/7. ფაქტიური მისამართია ქ. თბილისი, წერეთლის ქ. #2.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის პარტნიორები არიან:

- აკაკი ხურციძე (60002002566) - 50.00%;
- ნიკო ნიკოლაძე (01017027643) - 10.00%;
- ნათია ორაშვილი (01026011193) - 10.00%;
- ზვიად გელბახიანი (01024062840) - 10.00%;
- ივანე გეთია (01009020847) - 10.00%;
- ვახტანგი გოცაძე (01020003576) - 10.00%;

2. *მომზადების საფუძველი*

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია, როგორც მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისათვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების შედგენის საერთაშორისო სტანდარტის შემდგომ (მსს ფასს) პირველად გამოყენების მოთხოვნების გათვალისწინებით, ნაწილი 35-ე „მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისათვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების შედგენის საერთაშორისო სტანდარტზე გადასვლა". სტანდარტზე გადასვლის თარიღია 2018 წლის 1 იანვარი.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს შესადარის ინფორმაციას გადასვლის თარიღამდე პერიოდისათვის. შესაბამისად, აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება არ განიხილება, რომ წარმოადგენს კომპანიის ფინანსური ანგარიშგების სრულ კომპლექტს, რომელიც მომზადებულია მსს ფასს-ის სრულ შესაბამისობაში.

აღნიშნული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობამ გამოიყენა მოსალოდნელი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, ფაქტები და გარემოებები და საბუღალტრო პოლიტიკა, რომელიც გამოყენებული იქნება, როდესაც კომპანია მოამზადებს პირველ სრულფასოვან ფინანსურ ანგარიშგებას მსს ფასს-ის შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. თანხები წარმოდგენილია ქართულ ლარში.

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მიერ მომზადებულია და დამტკიცებულია 2019 წლის 17 სექტემბერს.

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2018 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, 2018 წლის 31 დეკემბერს

დამთავრებული პერიოდისათვის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებას, მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვასა და სხვა განმარტებით ინფორმაციას.

მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღამდე კომპანია ბუღალტრულ აღრიცხვას აწარმოებდა ადგილობრივ პრაქტიკაში მიღებული სააღრიცხვო პრინციპების შესაბამისად, კომპანიას აქამდე არ მოუმზადებია ფინასური ანგარიშგება და შესაბამისად მსს ფასს-ებზე გადასვლას არ გამოუწვევია საწყისი ნაშთების კორექტირება.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა

3.1 ვალუტა

კომპანია ფუნქციონირებს საქართველოს ტერიტორიაზე და მის ფუნქციონალურ და წარსადგენ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. აქედან გამომდინარე წინამდებარე ანგარიშგების ყველა მონაცემი მოცემულია ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად მითითებული არ არის.

უცხოურ ვალუტაში მოცემული მონეტარული აქტივების და ვალდებულებების მუხლები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსის მიხედვით საანგარიშო თარიღისათვის; რაც შეეხება კონვერტაციის დროს წარმოშობილ კურსთაშორის სხვაობებს, ისინი აისახება ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური კურსით, მოგებისა და ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშში.

2018 წლის 31 დეკემბრისა და 1 იანვრის მდგომარეობით საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსები შემდეგია:

	საქართველოს ეროვნილი ბანკის ოფიციალური კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
2018 წლის 31 დეკემბერი	2.6766	3.0701
2018 წლის 1 იანვარი	2.5922	3.1044

3.2 ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები არის აქტივები, რომლებიც იოლად კონვერტირებადია ფულად სახსრებში და ექვემდებარება ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში და ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე.

3.3 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის კომპანიის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში საქონლის მიწოდების და მომსახურების გაწევის შედეგად მყიდველებისაგან მისაღები თანხები. აღირიცხება ნომინალური ღირებულებით, ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება ნეტო (მოსალოდნელი ანაზღაურების) თანხით.

3.4 სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო მატერიალური ფასეულობების აღრიცხვას კომპანია ახდენს უწყვეტი აღრიცხვის მეთოდით.

საწარმო მარაგებს აფასებს თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

მარაგის თვითღირებულება მოიცავს მის შეძენასა და მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისთვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად გაწეულ ყველა დანახარჯს.

მარაგების ჩამოწერა ხდება საშუალო შეწონილი მეთოდით.

3.5 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალება აღიარდება ისტორიულ ღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის შემცირებული თანხით. მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტიდან (გაყიდვის ღირებულებას გამოკლებული საბალანსო ღირებულება) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და რეგულირდება თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ძირითად საშუალებაზე ან მის ცალკეულ ერთეულზე.

ძირითადი საშუალებების ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების მთელ პერიოდზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითადი საშუალებების სასარგებლო გამოყენების ვადები შემდეგია:

- სასცენო ტექნიკა და აღჭურვილობა 5-10 წელი
- კომპიუტერები და სხვა საოფისე ინვენტარი 5-10 წელი
- ავეჯი და სხვა ინვენტარი 5-10 წელი
- სხვა ძირითადი საშუალებები 5-10 წელი

3.6 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები აისახება დაგროვილი ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. არამატერიალური აქტივის ამორტიზება იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება, ანუ როდესაც აქტივი იმყოფება იმ ადგილას და მოყვანილია ისეთ მდგომარეობაში, რომ შესაძლებელია მისი გამოყენება ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესაბამისად.

არამატერიალური აქტივის ამორტიზირება ხდება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

არამატერიალური აქტივის სასარგებლო გამოყენების ვადები შემდეგია:

- არამატერიალური აქტივები 3-10 წელი.

თუ შეუძლებელია არამატერიალური აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის საიმედოდ განსაზღვრა, მაშინ მოცემული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა უნდა განისაზღვროს ხელმძღვანელობის საუკეთესო შეფასების საფუძველზე, მაგრამ ეს ვადა არ უნდა აღემატებოდეს 10 წელს.

3.7 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებების მუხლში ერთიანდება მომწოდებლებისათვის გადასახდელი თანხები წარმოშობილი მომსახურების გაწევის ან საქონლის მოწოდების შედეგად. თუ სავაჭრო ვალდებულების დაფარვა მოსალოდნელია ერთ საანგარიშგებო პერიოდში ან უფრო ნაკლებში, ის კლასიფიცირდება როგორც მოკლევადიანი ვალებულება, წინააღმდეგ შემთხვევაში წარდგება გრძელვადიან ვალდებულებებში. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში არსებული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება ეროვნულ ვალუტაში (ლარში) საანგარიშგებო პერიოდის ბოლო დღისთვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის შესაბამისად. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა/ხარჯი აისახება არასაოპერაციო შემოსავალში ან არასაოპერაციო ხარჯებში შესაბამისად.

3.8 სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული ყველა დანახარჯები აღიარდება მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ პერიოდში, როდესაც გაწეულ იქნა აღნიშნული დანახარჯი.

3.9 იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისათვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

3.10 მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის დასრულებისათვის არსებული კანონმდებლობის შესაბამისად.

საქართველოს საგადასახადო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, შეიცვალა კომპანიების დაბეგვრის ადრე არსებული მოდელი, რომელიც ყველა პირისთვის, გარდა გარკვეული გამონაკლისებისა (მათ შორისაა კომერციული ბანკები, სადაზღვევო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და სხვა), ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან.

ახალი, ე.წ. "ესტონური", მოდელის მიხედვით, კომპანიებს აღარ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა მოგებიდან (რომელიც მიღებულია 2017 წლის 1 იანვრიდან), სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება დივიდენდების, ან სხვა ფორმით (მანამდე არსებული მოდელის მიხედვით, კომპანიის მოგება 15%-იანი გადასახადით იბეგრებოდა იმის მიუხედავად, ხდებოდა თუ არა წმინდა მოგების დივიდენდის სახით განაწილება).

3.11 დღგ

კომპანიის მიერ გაყიდვების/მომსახურების გაწევის ოპერაციებთან დაკავშირებული დღგ სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახდელია მიწოდებული საქონლის ან გაწეული მომსახურების შესაბამისად, კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადებში. კომპანიას შეუძლია განახორციელოს დღგ-ს ჩათვლა შესაბამისი ჩასათვლელი თანხების დეკლარირების გზით. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით დაშვებულია გადამხდელის მიერ დღგ-ის თანხის გადახდა ე.წ. „წმინდა თანხის" საფუძველზე (მიღებული დღგ-ს ჩათვლის გათვალისწინებით). შესაბამისად, კომპანიის მიერ განხორციელებული დასაბეგრი ოპერაციების საფუძველზე გადასახდელი დღგ, რომლის გადახდაც არ მომხდარა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აისახება (აღიარდება) ე.წ. „წმინდა თანხის" საფუძველზე (მიღებული დღგ-ს ჩათვლების გათვალისწინებით).

3.12 საკუთარი კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალის ოდენობა კომპანიის წესდებით განისაზღვრება. კომპანიის წესდებაში ცვლილებების შეტანა (მათ შორის საწესდებო კაპიტალის, საკუთრების უფლების ცვლილება), მხოლოდ კომპანიის მესაკუთრეების გადაწყვეტილებით ხდება.

3.13 შემოსავლების აღიარება

შემოსავლები საქონლის მიწოდებიდან ან/და მომსახურების გაწევიდან მაშინ აღიარდება, როდესაც კლიენტისთვის ხდება საქონლის/მომსახურების მიწოდება. შემოსავლების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, რეალიზაციასთან დაკავშირებული არაპირდაპირი გადასახადების გამოკლებით.

3.14 სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავლის აღიარება ხდება, როცა არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის

საიმედოდ განსაზღვრა. შემოსავლის აღიარება ხდება მის მიღებაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით ოპერაციის განხორციელების პერიოდისათვის.

3.15 ხარჯების აღიარება

ხარჯები აღიარდება მაშინ თუ მოსალოდნელია საწარმოს ეკონომიკური სარგებლის შემცირება საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში საწარმოდან აქტივების გასვლის ან ვალდებულებების ზრდის საფუძველზე, რაც გამოიხატება საწარმოს საკუთარი კაპიტალის შემცირებით, რომელიც არაა დაკავშირებული მესაკუთრეებზე განაწილებასთან. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

4. ფულადი სახსრები და ექვივალენტები

მოცემულია 2018 წლის 31 დეკემბრისა და 1 იანვრის მდგომარეობით ფული და ფულის ექვივალენტების საბალანსო ნაშთები:

	31.12.2018	01.01.2018
ნაღდი ფული სალაროში	13 647	199 045
ეროვნულივალუტარეზიდენტ ბანკში	5 024	23 131
დოლარი რეზიდენტ ბანკში	3 853	2 396
ევრო რეზიდენტ ბანკში	710	-
სულ ფულადი სახსრები და ექვივალენტები:	23 234	224 572

5. სავაჭრო მოთხოვნები

	31.12.2018	01.01.2018
სავაჭრო მოთხოვნები	115 302	211 735
მოთხოვნები ანგარიშვალდებული პირების მიმართ	-	-
სულ სავაჭრო მოთხოვნები:	115 302	211 5

6. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

კომპანიის სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები შედგება შემდგომი რეალიზაციისთვის განკუთვნილი საქონელისგან და ასევე, მომსახურების გასაწევად საჭირო მარაგებისგან.

	31.12.2018	01.01.2018
საქონელი	90 906	74 616
მასალები	20 001	9 454
სხვა სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	12 467	10 826
სულ სასაქონლო მატერიალური ფასეულობები:	123 374	94 896

7. *ძირითადი საშუალებები*

	სასცენო ტექნიკა და აღჭურვილობა	კომპიუტერები და საოფისე ინვენტარი	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სხვა ძირითადი საშუალებები	სულ
ბალანსი 01.01.2018	594,127	22,688	53,676	197,545	868,035
შეძენა	109,077	-	25,890	-	134,967
ჩამოწერა	-	-	-	-	-
ბალანსი 31.12.2018	703,204	22,688	79,566	197,545	1,003,002
ცვეთა					
ბალანსი 01.01.2018	118,504	3,598	11,937	51,229	185,268
ცვეთა	135,535	1 582	13,208	21,947	172,272
ჩამოწერა	-	-	-	-	-
ბალანსი 31.12.2018	254,039	5,180	25,145	73,176	357,540
ბალანსი 01.01.2018	475,623	19,090	41,739	146,316	682,767
ბალანსი 31.12.2018	449,165	17,508	54,421	124,369	645,461

8. *არამატერიალური აქტივები*

	ლიცენზია	პროგრამული უზრუნველყოფა	სულ
ბალანსი 01.01.2018	230	2 682	2,912
შეძენა	-	-	-
ჩამოწერა	-	-	-
ბალანსი 31.12.2018	230	2,682	2,912
ცვეთა			
ბალანსი 01.01.2018	69	-	69
ცვეთა	35	-	35
ჩამოწერა	-	-	-
ბალანსი 31.12.2018	103	-	103
ბალანსი 01.01.2018	161	2,682	2,843
ბალანსი 31.12.2018	127	2,682	2,809

პროგრამული უზრუნველყოფა წარმოადგენს მართვის პულტების სამართავ პროგრამას. მასზე საანგარიშგებო პერიოდში არ განხორციელებულა ამორტიზაციის დარიცხვა, ვინაიდან არ ხდებოდა მისი გამოყენება.

9. *კრედიტორული დავალიანება*

	31.12.2018	01.01.2018
სავაჭრო ვალდებულებები	224,144	290,830
სულ კრედიტორული დავალიანება	**224,144**	**290,830**

10. *მოკლევადიანი სესხები და პროცენტები*

	31.12.2018	01.01.2018
აკაკი ხურციძე (ლარი)	121,847	187,348
აკაკი ხურციძე (ევრო)	80,404	57, 431
შპს ჰიპოკრატე (ლარი)	-	425,047
გადასახდელი პროცენტები	198,657	157,806
სულ მოკლევადიანი სესხები და პროცენტები:	**400,908**	**827,632**

კომპანიას სესხი აღებული აქვს დირექტორის და ამავე დროს 50%-იანი წილის მფლობელი აკაკი ხურციძისაგან ქართულ ლარში (სესხის დაფარვის ვადა 31.12.2019) და ევროში (სესხის დაფარვის ვადა 31.12.2019). სესხზე რიცხული სარგებელი ეროვნულ ვალუტაში შეადგენს 17,32 %-ს, ხოლო ევროში 10,19 %-ს. კომპანიას ასევე სესხი აღებული ჰქონდა შპს „ჰიპოკრატესაგან" ეროვნულ ვალუტაში 17,32 %-იანი განაკვეთით, რომელიც მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდში დაფარა .

11. *შემოსავლები*

	31.12.2018
შემოსავლები საქონლის მიწოდებიდან	991,216
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	1,642,144
სხვა შემოსავლები	40,460
სულ შემოსავლები:	**2,673,820**

სხვა შემოსავლები მოიცავს უსასყიდლოდ მიღებულ საქონელსა და ფულად სახსრებს.

12. *შრომის ანაზღაურების ხარჯი*

შრომის ანაზღაურების ხარჯი	**2018**
მენეჯმენტის ანაზღაურება	371,504
დანარჩენი თანამშრომლების ანაზღაურება	34,005
სულ შრომის ანაზღაურების ხარჯი	405,509

13. სხვა საოპერაციო ხარჯები	2018
მიმდინარე რემონტის ხარჯი	70,536
ბანკის საკომისიო	22,080
პროგრამული მხარდაჭერა	83,478
საშუამავლო მომსახურების ხარჯი	19,961
სამეურნეო ხარჯი	56,043
ელ. ენერგიის ხარჯი	40,748
წყალმომარაგების ხარჯი	12,496
დაზღვევა	2,865
საოფისე ხარჯი	11,121
ქველმოქმედების ხარჯი	1,500
საგადასახადო ხარჯი	7,074
სხვა საოპერაციო ხარჯები	70,986
სულ სხვა საოპერაციო ხარჯები	398,888

14. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

საანგარიშო პერიოდის შემდგომ ისეთ მოვლენებს, რომლებიც მოითხოვს განმარტებით შენიშვნებს ადგილი არ ჰქონია.